ხელოვნების ისტორია: ნინო ბაქრაძე

მუსიკის ისტორია: ლიანა ასათიანი

რელიგიის ისტორია: მარინა ხოსიტაშვილი

მუსიკა: ელენე ნიჟარაძე

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ეკა ჩიგოგიძე

სპორტული პროგრამა: ზვიად კოტრიკაძე, ნინო გელაშვილი.

შემცვლელი მასწავლებელი: ლელა სისაური

საუნივერსიტეტო ორიენტაციის პროგრამა: ქეთევან ჩიქოვანი, ლია ჩხაიძე.

ბიბლიოთეკა: თამარ გვარამაძე, ნატო დვალაძე, მარიამ კეთილაძე.

სკოლისგარე პროგრამების კოორდინატორი: სიმონ ჯანაშია

სპეციალური პროგრამები: მანანა ფხაკაძე

პერსონალური მონაცემათა დაცვის ოფიცერი: ირინე მურცხვალაძე.

ექიმი: თინათინ კვანტალიანი

სკოლის ფსიქოლოგი: ნინო მღებრიშვილი

ადმინისტრაცია: ანდრეს კრუზი (დირექტორი) მარინა ჯაფარიძე (დირექტორის მოადგილე), ია თოფურია (საგარეო ურთიერთობათა დეკანი), ეკა ტატიშვილი (მოსწავლეთა დეკანი), მარიკა ციციშვილი (მერვე კლასის პროგრამის კოორდინატორი), თამარ გუნიავა (მიღების და კომუნიკაციების კოორდინატორი), ლანა ვარდანიძე (ადმინისტრაციული თანამშემწე).

ფინანსური განყოფილება: ნანა მიხელიძე (ფინანსური დირექტორი), ირინა მურცხველაძე (ბუღალტერი), სალომე სიამაშვილი (ბუღალტერი).

შენობის კომენდანტი: თამაზ გუჯეჯიანი

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი: გივი კერესელიძე

სამეურვეო საბჭო

გიორგი ბაზღაძე, ნიკოლოზ ზალდასტანი (თანათავმჯდომარეები).

დონალდ თომასი, რიჩარდ ლასენი, გოჩა მაცაბერიძე, ელისაბედ ნაპიერი, ავთანდილ წერეთელი, ნიკა ხაზარაძე, თამარ ჯაფარიძე.

აკადემიური სტანდარტები

მოსწავლეებს მოეთხოვებათ, დროზე გამოცხადდნენ საკლასო ოთახში და თან იქონიონ ყველა საჭირო წიგნი და ნივთი; პასუხისმგებლობით მოეკიდონ და დროულად შეასრულონ ყველა საშინაო და სხვა სახის დავალება და პროექტი. აკადემიის სწავლების სპეციალური “ჰარკნესის მაგიდის” მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას საკლასო დისკუსიებში, რაც შესაბამისად აისახება მათ შეფასებებში.

სკოლა ძალიან მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეებს. ამიტომაც, მოსწავლეებმა გონივრულად და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ დრო, რათა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლონ.

შეფასება, ნიშნები და მეოთხედის/სემესტრული ანგარიშები

შეფასების მიზანია, განსაზღვროს, თუ რამდენად სრულად დაეუფლნენ მოსწავლეები სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. გარდა ამისა, შეფასებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებსა და მშობლებს განსაზღვრონ, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ მოსწრება ამა თუ იმ საგანში. სასწავლო წელი ორ სემესტრად იყოფა, თითოეული სემესტრი კი, თავის მხრივ, ორ მეოთხედად. მოსწავლეები შეფასდებიან ყოველი მეოთხედის ბოლოს, მაგრამ მოსწავლის ტრანსკრიპტში მხოლოდ სემესტრული და წლიური შეფასებები აისახება. პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს მოსწავლეები მიიღებენ სემესტრულ შეფასებებს და,

საჭიროების შემთხვევაში, წერილობით კომენტარებს. პირველი და მესამე მეოთხედის ბოლოს კი – მეოთხედის ნიშნებს და წერილობით კომენტარებს. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის მოსწრება მკვეთრად უარესდება საანგარიშო პერიოდის დადგომამდე ან იგი ვერ იღებს გამსვლელ შეფასებას, მშობლებს დაუყოვნებლივ ეგზავნებათ შეტყობინება და ინიშნება შეხვედრა შესაბამისი საგნის მასწავლებელთან.

აკადემიური მოთხოვნები (მე-8 კლასი)

მე-9 კლასში გადასაყვანად მოსწავლემ უნდა მიიღოს დამაკმაყოფილებელი შეფასება შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია და გეოგრაფია), მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და ფიზიკური აღზრდა.

აკადემიური მოთხოვნები (მე-9-12 კლასები)

აკადემიის დიპლომის მისაღებად მოსწავლემ უნდა მოიპოვოს 24.5 კრედიტი. ერთი კრედიტი შეესაბამება ერთწლიან კურსს, კვირაში 230 წუთი საგაკვეთილო დროით. ერთ წელზე მოკლე კურსების საკრედიტო მაჩვენებელი მათი ხანგრძლივობის პროპორციულად დაიანგარიშება.

ქართული: 4 კრედიტი

ინგლისური: 4 კრედიტი

რუსული/გერმანული: 3 კრედიტი

ისტორია: 3 კრედიტი

მათემატიკა: 4 კრედიტი

ბიოლოგია: 1 კრედიტი

ქიმია: 1 კრედიტი

ფიზიკა: 1 კრედიტი

ხელოვნების ისტორია: 0.5 კრედიტი

მუსიკის ისტორია: 0.5 კრედიტი

რელიგიის ისტორია: 0.5 კრედიტი

ინტერდისციპლინური კურსი «დიადი იდეები»: 0.5 კრედიტი

არჩევითი საგანი: 0.5 კრედიტი

სპორტი: 1 კრედიტი

სპორტული პროგრამა

მე-8 კლასში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებები ყოველდღიურად ტარდება. მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებს გაკვეთილები კვირამი ორჯერ უტარდებათ. წელიწადის დროის მიხედვით მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ შემდეგ სპორტულ აქტივობებში: ცურვა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, აერობიკა, ცეკვა, ათლეტიზმი და კლდეზე ცოცვა.

ამას გარდა, მოსწავლეებს პერიოდულად საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ სათხილამურო შეჯიბრებებში, ლაშქრობებში, საზაფხულო ბანაკებსა და ექსკურსიებში. მოსწავლეების ტრანსპორტირებას აკადემია უზრუნველყოფს. ფიზიკური აღზრდის ნიშანი ასახავს მეცადინეობებზე დასწრებისა და აქტიურობის დონეს, და მისი საკრედიტო წლიური მაჩვენებელი 0.5-ს შეადგენს.

შეფასების სკალა

აკადემიის მოსწავლეთა შეფასება შემდეგი სკალის მიხედვით წარმოებს:

95-100 %	4.0	A
90-94 %	3.7	A-
87-89 %	3.3	B+
83-86 %	3.0	B
80-82 %	2.7	B-
77-79 %	2.3	C+
73-76 %	2.0	C
70-72 %	1.7	C-
67-69 %	1.3	D+
63-66 %	1.0	D
60-62 %	0.7	D-
60 %-ის ქვევით	0	E (ჩაჭრა)

გამოცდები

აკადემიური წლის ბოლოს მე-8, მე-9 და მე-10 კლასების ყველა საგანში ტარდება გამოცდები. ჩაჭრის შემთხვევაში, მოსწავლეს საშუალება ეძლევა გადააბაროს გამოცდა. განმეორებითი გამოცდები ივნისში ტარდება.

აკადემიური წარჩინების დიპლომები და პრიზები

სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებს აკადემიური წარჩინების დიპლომები გადაეცემათ. აკადემიური წარჩინების კრიტერიუმად გამოიყენება მოსწავლის წლიური ნიშნები, რომლებიც სემესტრული ნიშნების გასაშუალოებით გამოითვლება. დიპლომები მიეცემათ იმ მოსწავლეებს, რომელნიც ყველა საგანში წლიურ ნიშნად “A“-ს ან “A“-ს მიიღებენ. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური აღზრდის შეფასება მოსწავლის საშუალო წლიურ მაჩვენებელში აისახება, დიპლომების კანდიდატების შერჩევას ის მხედველობაში არ მიიღება. აკადემიური წარჩინების დიპლომების გარდა მოსწავლეებს გადაეცემათ სხვადასხვა სახის პრიზები: წიგნები, ფულადი პრემიები, ვაუჩერები და სხვ.

აკადემიური პრობაცია

თუ მოსწავლემ რამდენიმე საგანში „D+“ ან უფრო დაბალი ნიშანი მიიღო ან თუნდაც ერთ საგანში ჩაიჭრა, მას აკადემიური პრობაცია დაუწესდება. აკადემიური პრობაციის სტატუსის მოსახსნელად მოსწავლემ ყველა საგანში “C-“ ან უფრო მაღალი ნიშანი უნდა მიიღოს.

აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა

აკადემია თავის მოვალეობად მიიჩნევს მხარდაჭერა გაუწიოს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

მე-8 კლასში აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა ყოველდღიური მეცადინეობების ცხრილშია ჩართული და კონკრეტული საჭიროებებისამებრ განხორციელდება.

მე-9-12 კლასებში ყველა მასწავლებელი აწესებს ყოველკვირეული დამატებითი მეცადინეობის საათებს მოსწავლეთათვის, ვისაც აკადემიური პროგრამის დასაძლევად განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროებათ. აკადემიურ პრობაციაზე მყოფ მოსწავლეებს მეცადინეობების სავალდებულო გრაფიკი უწესდებათ.

ხშირად, მშობლები სკოლასთან შეუთანხმებლად იღებენ გადაწყვეტილებას, კერძო მასწავლებლების დახმარებით მოამზადონ მოსწავლე რამდენიმე ან ყველა საგანში. ამგვარი მეცადინეობები, როგორც წესი, ზედმეტია, მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული და ეწინააღმდეგება სკოლის პრინციპებსა და მეთოდებს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიის მასწავლებლებს არ აქვთ უფლება კერძოდ ამეცადინონ თავიანთი მოსწავლეები, აუცილებლობის შემთხვევაში ისინი მზად არიან კონსულტაცია გაუწიონ მშობლებს და ურჩიონ, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ამგვარი მეცადინეობების დროს. დაბეჯითებით ვურჩევთ მშობლებს, არ მიმართონ დახმარებისთვის კერძო მასწავლებელს საგნის მასწავლებლის კონსულტაციის გარეშე.

კლასგარეშე აქტივობები

აკადემია მოსწავლეებს ფაკულტატური კლასგარეშე აქტივობების მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს და დაბეჯითებით ურჩევს, ჩაერთონ შესაბამისი კლუბების მუშაობაში. გასულ წლებში აკადემიაში ფუნქციონირებდა გაზეთის საგამომცემლო, საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობათა, ხელოვნების, ფოტო, მუსიკის, ჭადრაკის, დებატების, დრამატული, კინოს მოყვარულთა, თეატრის მოყვარულთა, არქეოლოგიური, ანტიკურობის კლუბები. კლუბების საქმიანობის ფორმასა და ხასიათს მოსწავლეებისა და მასწავლებლების სურვილები და ინტერესები განსაზღვრავს. მოსწავლეებმა თავიდანვე უნდა იზრუნონ თავიანთი CV-ის შედგენაზე და აქტიური მონაწილეობა მიიღონ კლუბების მუშაობაში, რადგან უნივერსიტეტების მიმღები კომისიები დიდ ყურადღებას აქცევენ აბიტურიენტთა კლასგარეშე საქმიანობას.

აკადემიური მოსწრება და უნივერსიტეტებში მიღების პროცედურები

აშშ-ს უნივერსიტეტები, ისევე როგორც მრავალი ევროპული და ბრიტანული უნივერსიტეტი, აბიტურიენტის ჩარიცხვის გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ GPA-ს. მოსწავლის GPA ოთხივე წლის ნიშნების გასაშუალოებით გამოითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში მოსწავლის მიერ მიღებული ყველა ნიშანი აისახება.

აკადემიური მოსწრება და სწავლის საფასური

იმ შემთხვევაში, როდესაც აკადემია და მოსწავლის წარმომადგენელი (პირი, ვისთანაც იდება შესაბამისი ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ) თანხმდებიან საბაზისოსგან განსხვავებულ სწავლის საფასურზე, მოსწავლემ, რომელიც ასეთი შეთანხმების საფუძველზე სწავლობს სკოლაში, უნდა შეინარჩუნოს წლიური GPA “C“-ის დონეზე. აღნიშნული წარმომადგენს შესაბამისი სწავლის გადასახადის ძალაში დატოვების პირობას.

სადამრიგებლო პროგრამა

სასწავლო წლის პირველი დღიდან მოსწავლეს ენიშნება დამრიგებელი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით რეგულარულად ხვდება თავისი სადამრიგებლო ჯგუფის წევრებს. ამ შეხვედრებზე დასწრება სავალდებულოა. სადამრიგებლო შეხვედრის გაცდენა გაკვეთილის გაცდენას უტოლდება. დამრიგებელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა საერთო ორიენტაციაზე; იგი მუდმივ კონტაქტში იმყოფება მოსწავლესთან და კონსულტაციას უწევს მას სასწავლო პროცესთან, ყოფაქცევასა და აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებულ ყველა

საკითხზე. დამრიგებელი უპირველესი საკონტაქტო პირია მშობლისთვის; მინიმუმ ერთხელ თვეში დამრიგებელი უკავშირდება თავისი სადამრიგებლო ჯგუფის თითოეული მოსწავლის მშობლებს. დამრიგებლები გადასცემენ მშობლებს წერილობით ანგარიშებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ.

მე-8 კლასში სადამრიგებლო შეხვედრები გაიმართება ყოველდღიურად - ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით.

აკადემიის წესები

მოსწავლეთა ყოფაქცევის პრინციპები

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი მისიაა ჩამოვაყალიბოთ არა მხოლოდ აკადემიური თანამეგობრობა, არამედ პრინციპული და მზრუნველი ადამიანების ერთობა. სკოლის ადმინისტრაცია და მოსწავლეები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ ამ მიზნის მისაღწევად და თვითონვე იძლეოდნენ შესაბამისი ქცევის მაგალითს. ამ საქმეში აკადემიას მშობლებიც უნდა დაეხმარონ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია:

ნდობა, პატივისცემა და თანაგრძნობა

თვითდისციპლინა და გუნდური მუშაობა

პატიოსნება და კეთილსინდისიერება

სწრაფვა უკეთესისკენ

პასუხისმგებლობის გრძნობა

სხვებზე ზრუნვა

დისციპლინური პროცედურები

მოსწავლეთა დეკანი და/ან დირექტორი/დირექტორის მოადგილე ადასტურებს ინციდენტს, აგროვებს ინფორმაციას, ხვდება მონაწილე მხარეს ან მხარეებს და იწვევს დისციპლინურ კომიტეტს. სხდომის ჩანაწერებს მოსწავლეთა დეკანი აწარმოებს; მასთანვე ინახება დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი და დოკუმენტი.

დისციპლინურ კომიტეტში შედიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მოსწავლეთა დეკანი, სკოლის ფსიქოლოგი, მოსწავლის დამრიგებელი და სკოლის სამი ან მეტი თანამშრომელი. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის თანამშრომლები თავისი სურვილის მიხედვით ერთი წლის ვადით ერთიანდებიან კომიტეტში. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს დეკანის მიერ წარმოდგენილ მასალას და ინციდენტში მონაწილე პირის (პირთა) წერილობით განცხადებას (განცხადებებს). კომიტეტის წევრები

კითხვებით მიმართავენ ინციდენტის მონაწილეებს და სხვა პირებს, თუ ამას საქმის გარემოებები მოითხოვს. ყოველი კონკრეტული საქმის განხილვა სკოლის წესების, ინციდენტის სიმძიმისა და, საჭიროების შემთხვევაში, წარსული დისციპლინური ინციდენტების გათვალისწინებით წარმოებს.

დისციპლინური კომიტეტის რეკომენდაცია დასამტკიცებლად გადაეცემა დირექტორს. დამტკიცების შემდეგ დირექტორი ზეპირი და წერილობითი ფორმით პირადად ატყობინებს გადაწყვეტილებას მოსწავლესა და მის მშობლებს. გადაწყვეტილების ასლი მოსწავლის პირად საქმეში ინახება. გარიცხვის გადაწყვეტილება, ძალაში შესვლამდე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს ეცნობება.

სკოლის წესების დარღვევა და დისციპლინური პროცედურები

სკოლის წესების დარღვევები სამ კატეგორიად იყოფა. პირველი კატეგორიის დარღვევები ყველაზე სერიოზულია და, შესაძლოა, მე-8-10 კლასელებთან მიმართებით, სკოლიდან დროებითი დათხოვნით, ხოლო მე-11-12 კლასელებთან მიმართებით, სკოლიდან გარიცხვითა და, შესაბამისად, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტით ისჯებოდეს. მეორე კატეგორიის დარღვევები სკოლის წესების მნიშვნელოვან შელახვად განიხილება და უმეტეს შემთხვევებში, მე-8-10 კლასელებთან მიმართებით, სკოლიდან დროებითი დათხოვნით, ხოლო მე-11-12 კლასელებთან მიმართებით, სკოლიდან დროებითი დათხოვნით ან გარიცხვით ისჯება. ამ სახის დარღვევებს დისციპლინური კომიტეტი განიხილავს. მოსწავლეებს დისციპლინური პრობაცია უწესდებათ და მათთან ყოფაქცევის კორექტირების კონტრაქტი ფორმდება. მესამე კატეგორიის დარღვევები ნაკლებად სერიოზული, თუმცა სასკოლო გარემოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ზარალის მომტანი ქმედებებია. მესამე კატეგორიის დარღვევებს სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს და რეაგირების შესაბამის ფორმას განსაზღვრავს. ამას, შესაძლოა, ყოფაქცევის კორექტირების კონტრაქტის გაფორმებაც დაერთოს.

დაბალი კატეგორიის დარღვევების დაგროვებას, შესაძლოა, რეაგირების ფორმების გამკაცრება და უფრო მაღალი კატეგორიის დარღვევებისთვის გათვალისწინებული დისციპლინური ზომების მიღება მოჰყვეს შედეგად.

პირველი კატეგორიის დარღვევები

- იარაღის და ფეთქებადი ნივთიერებების მოტანა სკოლაში ან სასკოლო ღონისძიებებზე;
- სასკოლო საზოგადოების წევრის ფიზიკური შეურაცხყოფა დამამძიმებელ გარემოებებში;
- ძალადობა და ჩაგვრა (იხ. ქვემოთ);
- სასკოლო საზოგადოების წევრის ფულის ან პირადი ნივთების მოპარვა.

- ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობა და გაყიდვა; ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება.
- ვანდალიზმი სკოლის ქონების ან სხვათა ქონების მიმართ; სკოლის ქონების დაზიანება;
- სკოლის კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების შეფერხება და ჰაკერობა.

მეორე კატეგორიის დარღვევები

- აკადემიური არაკეთილსინდისიერება (იხ. ქვემოთ);
- აკადემიის თანამშრომლისადმი დაუმორჩილებლობა;
- ალკოჰოლის მოხმარება ან ალკოჰოლის მოტანა სკოლაში ან სასკოლო ღონისძიებებზე;
- აზარტული თამაში სკოლის ტერიტორიაზე;
- სასკოლო საზოგადოების წევრის სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- უხამსი შინაარსის მასალების მოტანა სკოლაში;
- თამბაქოს მოწევა სკოლაში ან სასკოლო ღონისძიებებზე;
- სიახლოვის გრძნობის შეუფერებელი ფორმით გამოხატვა სკოლაში და სასკოლო ღონისძიებებზე;
- წესრიგის სისტემატური დარღვევა კლასში და/ან სკოლაში;
- სხვა სახის დარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციის შეხედულებით მეორე კატეგორიის წესების მიხედვით უნდა დაისაჯოს.

მესამე კატეგორიის დარღვევები

- ცუდი ყოფაქცევა კლასში;
- სკოლის ტერიტორიიდან ნებართვის გარეშე გასვლა;
- გაკვეთილის გაცდენა და სისტემატური დაგვიანებები;
- მობილური ტელეფონებისა და მუსიკალური მოწყობილობების გამოყენება გაკვეთილებზე.

დისციპლინური პრობაცია და ყოფაქცევის კორექტირების კონტრაქტი

იმ შემთხვევაში, თუ პირველი ან მეორე კატეგორიის დარღვევების გამო მოსწავლე სკოლიდან არ გაირიცხა, მას დისციპლინური პრობაცია უწესდება. ცალკეულ შემთხვევებში, ასეთ მოსწავლესთან ყოფაქცევის კორექტირების კონტრაქტიც ფორმდება. ყოფაქცევის კორექტირების კონტრაქტი განსაზღვრავს, თუ რა სახის ქცევის

კორექტირება უნდა მოხდეს და რა ფორმით განხორციელდება კონტრაქტის შესრულების მონიტორინგი. კონტრაქტი ასევე განსაზღვრავს ქვევის კორექტირების ვადებსაც. კონტრაქტს ხელს აწერს მოსწავლე და მისი მშობელი ან მეურვე. კონტრაქტში მითითებულია, თუ რა სახის დისციპლინური რეაგირება მოჰყვება კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობას. კონტრაქტის პირობების შესრულებას მოსწავლეთა ღვაწი აკონტროლებს. კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის ყველა შემთხვევა ეცნობება დირექტორს/დირექტორის მოადგილეს და დისციპლინურ კომიტეტს. შესაბამისი შეტყობინება მოსწავლის მშობლებსაც ეგზავნებათ. თუ დისციპლინურ პრობაციაზე ყოფნის პერიოდში მოსწავლე აგზავნის განაცხადს უნივერსიტეტში, ეს ინფორმაცია მისი საუნივერსიტეტო განაცხადის ფორმაში აისახება.

დისციპლინური აპელაციის პროცესი

მოსწავლეს უფლება აქვს გაასაჩივროს დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება, თუ მასში გარიცხვა მოითხოვება. მოსწავლემ წერილობითი ფორმით უნდა აღწეროს საქმის ვითარება და ახსნას, თუ რატომ მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება არასწორი იყო. წერილი გადაეცემა დირექტორს, რომელიც მოიწვევს სამეურვეო საბჭოს სხდომას. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა. მშობლებმა და მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სამეურვეო საბჭოს წევრებთან აპელაციის ლობირების ნებისმიერი მცდელობა აპელაციის ავტომატურ ტერმინაციას გამოიწვევს.

აკადემიური კეთილსინდისიერება

აკადემიურ კეთილსინდისიერებაში იგულისხმება ის, რომ მოსწავლეების ნაშრომი მათი საკუთარი ნამუშევარია. ამის საპირისპიროდ, აკადემიური არაკეთილსინდისიერება ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე ცდილობს თავისად გამოაცხადოს ცოდნა და/ან უნარ-ჩვევები, რომელიც მას არ ეკუთვნის. სკოლის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული ყოველი მოსწავლის მზადყოფნაზე პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქვევზე საზოგადოებრივი და აკადემიური ხასიათის ყველა საქმესა და ურთიერთობაში. შესაბამისად, აკადემიის მოსწავლეები მზად უნდა იყონ იმისთვის, რომ ისწავლონ და სწავლის პროცესში სწორისა და არასწორის გარჩევა შეძლონ. აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხისადმი სწორი მიდგომა სკოლაში, უნივერსიტეტში და, ზოგადად, ცხოვრებაში წარმატების მიღწევის უპირველესი პირობაა.

აკადემიური არაკეთილსინდისიერება მოიცავს, თუმცა არ დაიყვანება შემდეგზე:

- ღვაწლების გადაწერა სხვა მოსწავლისგან და საკუთარ ნაშრომად მისი წარმოდგენა;
- სხვა მოსწავლისთვის წერილობითი გამოკითხვის ან ტესტის ინფორმაციის ან პასუხების გადაცემა;
- სხვისი ნაშრომის შეგნებული პლაგიატი (მთლიანი ან ნაწილობრივი) და საკუთარ ნაშრომად მისი წარმოდგენა. ეს ეხება სხვა მოსწავლის ნაშრომს, აგრეთვე, ინტერნეტიდან, წიგნებიდან, ჟურნალებიდან და სხვა წყაროებიდან აღებულ მასალას;

- კვლევის დროს გამოყენებული წყაროების არასწორი ციტირება;
- სკოლის ყოფილი მოსწავლის ან გარეშე წყაროდან შეძენილი ნაშრომის წარმოდგენა;
- ინფორმაციის ან წყაროების ფაბრიკაცია;
- სხვა სასწავლო კურსისთვის მომზადებული და ჩაბარებული წერიტი ნაშრომის, პროექტის ან დავალების ნებისმიერი ნაწილის უნებართვოდ გამოყენება;
- წერილობითი გამოკითხვის ან ტესტის დროს სხვა მოსწავლისგან გადაწერა, ან შეგნებულად სხვა მოსწავლისთვის საკუთარი ნამუშევრიდან გადაწერის საშუალების მიცემა;
- ტესტზე ან წერილობით გამოკითხვაზე ნებადაურთავი მასალის მოტანა და გამოყენება;
- ნებართვის გარეშე სხვა მოსწავლესთან სიტყვიერი ან ელექტრონული ფორმით ურთიერთობა ტესტის ან წერილობითი გამოკითხვის დროს;
- სიცრუე, თაღლითობა და ქურდობა საკუთარ აკადემიურ ნაშრომთან დაკავშირებით.

დისციპლინური შედეგები

მასწავლებელი, რომელიც შეიტყობს მოსწავლის აკადემიური არაკეთილსინდისიერების შესახებ, მოახსენებს ამის შესახებ დირექტორს. თუ მასწავლებელი აღნიშნული ინციდენტის მომსწრე ტესტის ან წერილობითი გამოკითხვის დროს გახდა, იგი დაუყოვნებლივ ჩამოართმევს მოსწავლეს ტესტს ან წერილობითი

გამოკითხვის ფურცელს. თუ პლაგიატი წერით დავალებას ან ნაშრომს ეხება, მასწავლებელს მოეთხოვება პლაგიატის დამამტკიცებელი კონკრეტული საბუთის წარმოდგენა.

დისციპლინური შედეგები:

- მოსწავლეს დაეწერება E შესაბამის დავალებაში ან ტესტში; მოსწავლეს არ ექნება უფლება გადააბაროს ეს დავალება ან ტესტი.
- აკადემიური არაკეთილსინდისიერების მეორე შემთხვევას დისციპლინური კომიტეტი განიხილავს და დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე უფრო მკაცრ სასჯელს მიმართავს.

აკადემიის ვალდებულებები აკადემიური არაკეთილსინდისიერების საკითხთან დაკავშირებით

აკადემია ვალდებულია:

- გარკვევით აუხსნას მოსწავლეს აკადემიურ არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული წესები და გააცნოს კონკრეტული მაგალითები; მისცეს ყველა საჭირო განმარტება შესაბამის მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- შეხვედრების დროს და შესაბამისი დოკუმენტების ფორმით მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია ამ წესების შესახებ.
- გარკვევით განუმარტოს მოსწავლეებს წყაროების ციტირებასთან, აგრეთვე, პირველადი და მეორადი წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი, შესაბამისი ფორმატები და პრინციპები. ამგვარი საუბრები მერვე კლასში იწყება და რეგულარულად მეორდება ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში. ამ მიმართულებით მოსწავლეებთან აქტიურად მუშაობენ ბიბლიოთეკარებიც.

ძალადობა და ჩაგვრა

ჩაგვრა განისაზღვრება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრის ან წევრების შეგნებული, სისტემატური და საზიანო ქმედება სხვა წევრის მიმართ. იმისგან დამოუკიდებლად, თუ სად და როგორი ფორმით ხდება ეს - სკოლაში, სასკოლო ღონისძიებებზე, სკოლის გარეთ თუ კიბერ-სივრცეში (იხ. ქვემოთ) – ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება აკადემიის ღირებულებებსა და პრინციპებს.

ჩვენ გვჯერა, რომ:

- სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრის უფლებაა, გრძნობდეს თავს დაფასებულად და პატივისცემის ღირსად.
- ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, გრძნობდეს თავს უსაფთხოდ და დაცულად.
- სასკოლო საზოგადოების არც ერთ წევრს არ უნდა შეექმნას დისკომფორტი საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვისას.
- ამ პრინციპებისადმი ერთგულება სასკოლო საზოგადოების ყოველმა წევრმა სხვებზე ზრუნვით უნდა გამოხატოს.

ჩაგვრა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, როგორცაა:

- ფიზიკური შეურაცხყოფა;
- დამამცირებელი და მუქარის შემცველი სიტყვიერი შეურაცხყოფა და ლანძღვა;
- დამამცირებელი სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარები პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების, გარეგნობის, ჩაცმულობის, რასის, რელიგიის, სქესისა და სხვა თვისებების ან მახასიათებლების შესახებ;
- სხვისი ქონების ან პირადი საგნების მოპარვა, დაზიანება ან განადგურება;
- კიბერ-ჩაგვრა, რაც გულისხმობს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელებულ ჩაგვრას სკოლის შიგნით ან მის გარეთ

ეს შეიძლება იყოს სატელეფონო ზარები, SMS, ელ-ფოსტა ან კომენტარები ჩატსა და ინტერნეტ საიტებზე.

- სექსუალური ძალადობა, რაც გულისხმობს შეხებას, უხეშ მოპყრობას, კომენტარებს სხვა ადამიანის სხეულის შესახებ, სექსუალური ხასიათის შეურაცხყოფელ შენიშვნებს, უხამსი ხასიათის მასალის დემონსტრირებას ან უხამსი ხასიათის გამონათქვამებს.

ჩაგვრისა და ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება

ინფორმაცია ჩაგვრის შემთხვევის შესახებ, სტუდენტთა დეკანის მიერ გადამოწმების შემდეგ, მიეწოდება დირექტორს. შედგება შეხვედრა მოსწავლესთან და, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის მშობელთან ან მეურვესთან. გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი მოსწავლის პირად საქმეში. განსაკუთრებით მძიმე ინციდენტები დირექტორმა, შესაძლოა, პირდაპირ დისციპლინურ კომიტეტს გადასცეს განსახილველად.

მეორე ინციდენტს, როგორც მეორე კატეგორიის დარღვევას, ავტომატურად დისციპლინური კომიტეტი განიხილავს. განხილვის შესაძლო შედეგს სკოლიდან ღრობითი დათხოვნა ან მე-10-12 კლასელები შემთხვევაში, სკოლიდან ღრობითი დათხოვნა ან გარიცხვის რეკომენდაცია წარმოადგენს. თუ მოსწავლე არ გაირიცხა, მასთან ყოფაქცევის კორექტირების კონტრაქტი გაფორმდება. კონტრაქტს მოსწავლე და მშობელი აწერენ ხელს.

მესამე დარღვევა მე-10-12 კლასელები შემთხვევაში გარიცხვის საფუძველს წარმოადგენს. მას, მეორე დარღვევის მსგავსად, დისციპლინური კომიტეტი განიხილავს.

სკოლის ვალდებულებები ჩაგვრის საკითხთან დაკავშირებით

- სადამრიგებლო შეხვედრებისას მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ჩაგვრასთან დაკავშირებული წესების შესახებ, მიეცემათ კონკრეტული რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, თუ მიაჩნიათ, რომ ჩაგვრის მსხვერპლნი ან სხვათა ჩაგვრის მოწმენი არიან.

- ჩაგვრის საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია წერილობითი და ელექტრონული ფორმით მიეწოდება მშობლებს.

- სკოლის ფსიქოლოგი კონსულტაციას გაუწევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს მათთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე და გააცნობს შესაბამის სამოქმედო სტრატეგიებს.

- შეგროვილ მონაცემზე დაყრდნობით სკოლა შეიმუშავებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს პრობლემური სიტუაციების განსამუხტად და ჩაგვრის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

- საჭიროა გვახსოვდეს, რომ პასუხისმგებლობა ჩაგვრის აქტის გამო უპირველესად კონკრეტულ მოსწავლეებს ეკისრებათ და რომ სკოლა ვერ ჩაითვლება პასუხისმგებლად ამგვარი ქმედებების გამო.

ალკოჰოლის მოხმარება და თამბაქოს მოწევა სასკოლო ღონისძიებებსა და ექსკურსიებზე

ალკოჰოლის მოხმარება და თამბაქოს მოწევა სკოლის ტერიტორიაზე მკაცრად იკრძალება. ეს წესები მოქმედებს მაშინაც, როდესაც მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ექსკურსიებსა და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში სკოლის გარეთ. ამ წესების დარღვევა, ადგილის მიუხედავად, მეორე კატეგორიის დანაშაულად განიხილება. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რომ სკოლის გარეთ ჩატარებულ სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა არ ნიშნავს ამ წესების შემსუბუქებას ან იგნორირებას. მოსწავლეებს, რომლებიც ამ წესებს სასკოლო ექსკურსიებზე ან ღონისძიებებზე დაარღვევენ, გარდა იმ სასჯელისა, რასაც დისციპლინური კომიტეტი დაუწესებს, აეკრძალებათ მომავალში სკოლის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა.

მოსწავლის დაკავება გაკვეთილების შემდეგ

მოსწავლის დაკავება გაკვეთილების შემდეგ ცუდ ყოფაქცევაზე რეაგირების მექანიზმია. გაკვეთილების შემდეგ დაკავება პრიორიტეტულია ყველა სხვა აქტივობასთან მიმართებაში.

სკოლიდან დროებითი დათხოვნა

მოსწავლის სკოლიდან დროებითი დათხოვნის შედეგები, შესაძლოა, საკმაოდ მძიმე იყოს. მოსწავლემ უნდა შეასრულოს ყველა დავალება დათხოვნის პერიოდში. სკოლიდან დროებით დათხოვნილ მოსწავლეებს ეკრძალებათ მონაწილეობა საკლუბო აქტივობებში, კლასგარეშე ღონისძიებებსა და ექსკურსიებში.

ყოფაქცევა და სწავლის საფასური

იმ შემთხვევაში, როდესაც აკადემია და მოსწავლის წარმომადგენელი თანხმდებიან საბაზისოსგან განსხვავებულ სწავლის საფასურზე, მოსწავლეს, რომელიც ასეთი შეთანხმების საფუძველზე სწავლობს სკოლაში, სათანადო ყოფაქცევა მოეთხოვება. თუ მოსწავლეს დისციპლინური პრობაცია დაუწესდა, მის საკითხს წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს, რასაც, შესაძლოა, საბაზისოსგან განსხვავებული სწავლის საფასურის შესახებ შეთანხმების გაუქმება მოჰყვეს შედეგად.

დასწრება

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ საკლასო დრო სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი რესურსია. ნებისმიერი რამ, რაც სწავლებისა და სწავლის პროცესის მიმდინარეობას არღვევს, კერძოდ კი, სისტემატური გაცდენები და დაგვიანებები, სკოლის საგანგებო ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო გარემოსთვის, როგორიც ამერიკული აკადემიაა, ვინაიდან აქ სასწავლო პროცესის ქვაკუთხედს სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდი წარმოადგენს. ამიტომაც, მოსწავლეებიც და მშობლებიც კარგად უნდა იცნობდნენ შესაბამის წესებს და ყველა ღონეს ახმარდნენ მათ შესრულებას.

პუნქტუალობა და დაგვიანება

- პირველი გაკვეთილი აკადემიაში 9:00 სთ-ზე იწყება, და ყველა მოსწავლე ვალდებულია გამოცხადდეს საკლასო ოთახში არაუგვიანეს 8:50-ისა. მოსწავლემ ყველა საჭირო სახელმძღვანელო და ნივთი თან უნდა იქონიოს. თუ მოსწავლეს მასწავლებლის მიერ მოთხოვნილი ნივთები თან არ აქვს და ლოკერიდან მათ მოსატანად კლასის დატოვება უწევს, მას ეს დაგვიანებად ეთვლება.

სკოლის ავტობუსზე დაგვიანება ვერ ჩაითვლება დაგვიანების გამართლებად.

- პირველ გაკვეთილზე დაგვიანებული მოსწავლეების გვარები მისაღებში დაფიქსირდება.
- სასწავლო დღის განმავლობაში სკოლის ტერიტორიის დატოვების უფლება მოსწავლეებს მხოლოდ ოფისის მიერ გაცემული შესაბამისი წერილობითი ნებართვის საფუძველზე მიეცემა.

დღის განმავლობაში ნებისმიერ გაკვეთილზე დაგვიანებულ მოსწავლეს ჟურნალში “დაგვიანება” ჩაეწერება. სამი ასეთი დაგვიანება ერთ გაცდენად ჩაითვლება.

თუ მოსწავლე სკლას 14:30-მდე დატოვებს, ეს სკოლიდან ადრე წასვლად განიხილება. სამი ამგვარი წასვლა ერთ გაცდენად ჩაითვლება.

გაცდენები

გაცდენები ორ კატეგორიად იყოფა: საპატიო და არასაპატიო.

საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ავადმყოფობით, ექიმთან ვიზიტით ან საგანგებო ოჯახური გარემოებებით გამოწვეული გაცდენები. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა წინასწარ არ იქნა გაფრთხილებული გაცდენის შესახებ, სკოლის ადმინისტრაცია გაცდენის დაფიქსირებისთანავე დაუკავშირდება მოსწავლის მშობელს ან მეურვეს.

- თუ საგანგებო ოჯახური მიზეზების გამო შეუძლებელი ხდება სკოლის გაცდენის თავიდან აცილება, მშობელმა ან მეურვემ წინასწარ უნდა მიიღოს ნებართვა სკოლის ადმინისტრაციისგან.

- დაუშვებელია საოჯახო არდადეგების ან მგზავრობის დაგეგმვა სასწავლო პერიოდში. ასეთი გაცდენები არასაპატიოდ ჩაითვლება.
- მოსწავლის ავადმყოფობის შემთხვევაში მშობლებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ სკოლა და მოსწავლის სკოლაში დაბრუნებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ახსნა-განმარტებითი ბარათი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაცდენები არასაპატიოდ ჩაითვლება.
- თუ მოსწავლე ორ ან მეტ დღეს გააცდენს, მშობლებმა მოსწავლის სკოლაში დაბრუნებიდან არაუგვიანეს სამი დღის ვადაში უნდა წარმოადგინონ ექიმის ცნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაცდენები არასაპატიოდ ჩაითვლება.
- მოსწავლეებს, რომლებიც დღის უმეტეს დროს სკოლაში არ იმყოფებოდნენ, ეკრძალებათ მონაწილეობის მიღება ნებისმიერი სახის სასკოლო აქტივობაში გაკვეთილების შემდეგ.

გაცდენების გამო შეუსრულებელი სამუშაო

თუ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო მოსწავლე ვერ ახერხებს სკოლაში მოსვლას, მან შემდეგი მოთხოვნები უნდა შეასრულოს:

1. მოსწავლე ვალდებულია გაიგოს გაცდენილი დღის (დღეების) დავალებები სკოლის საიტზე (www.gzaat.org) განთავსებული Moodle სისტემით ან უშუალოდ მასწავლებელთან დაკავშირებით.
2. მოსწავლე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეათანხმოს მასწავლებელთან გაცდენილი დავალებების აღდგენის ვადები. თუ მოსწავლემ არ აღადგინა დავალებები შეთანხმებულ ვადებში, ეს შესაბამისად აისახება მის შეფასებაზე.
3. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება ხანგრძლივი დროით (5-10 დღით) სკოლის გაცდენის თავიდან აცილება, მშობლები წინასწარ უნდა დაუკავშირდნენ მასწავლებლებს და გაარკვიონ, რა სამუშაოს შეასრულებენ და რა მასალას გაივლიან მოსწავლეები ამ დროის განმავლობაში.
4. არასაპატიო გაცდენის ან სკოლიდან დროებითი დატოვების შემთხვევაში მოსწავლეს არ ექნება უფლება ჩააბაროს გაცდენილი ტესტები. ამასთან, ყველა გაცდენილ სამუშაოში (დავალება, ტესტი, პრეზენტაცია) მას E დაეწერება.
5. თუ მოსწავლემ წინასწარ იცის, რომ სკოლის გაცდენა მოუწევს, ის ვალდებულია გაარკვიოს მასწავლებელთან, თუ რა დავალებები უნდა შეასრულოს სკოლაში არყოფნისას. თუ მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის, რომ მოსწავლემ სკოლაში მისი არყოფნის დროისთვის დაგეგმილი ტესტი წინასწარ ჩააბაროს, მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.

თუ მოსწავლეს 20 გაცდენა დაუგროვდა (საპატიო და არასაპატიო), დამოუკიდებლად იმისგან, დღე სრულად იყო გაცდენილი თუ გაცდენა დაგვიანებისა და სკოლიდან აღრე წასვლის შემთხვევების აკუმულირებით დაგროვდა, მოსწავლეს დაუწესდება აკადემიური

პრობაცია და ყველა კურსის კრედიტი ავტომატურად შეუჩერდება. აკადემიური კრედიტის აღსადგენად მოსწავლეს მოუწევს აკადემიური კომიტეტის მიერ შედგენილი ინდივიდუალური გეგმის შესრულება. გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეს აღუდგება კრედიტები.

სემესტრულ კურსებში იგივე პროცედურა 10 გაცდენის შემთხვევაში გამოიყენება.

ბიბლიოთეკა

ამერიკული აკადემიის დონალდ თომასის სახელობის ბიბლიოთეკა მოსწავლეებს სთავაზობს კომფორტულ გარემოს დამოუკიდებელი შემეცნებისათვის, თანამშრომლობისა და დროის აზრიანად გატარებისთვის. მოსწავლეთა განკარგულებაშია: სახელმძღვანელოები, წიგნები და ელექტრონული წიგნები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე; ელექტრონული ბაზა, JSTOR (ინგლისურენოვანი პერიოდიკა, საცნობარო ლიტერატურა, მულტიმედია და პირველადი წყაროები); ვიდეო და აუდიო მასალა; სამაგიდო თამაშები; კომპიუტერები; ელექტრონული კატალოგი; ინტერნეტი და პრინტერები; ტრენინგი ინფორმაციული წიგნიერების სხვადასხვა თემებზე. ბიბლიოთეკარები ყოველდღიურად ეხმარებიან მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში თუ ინტერნეტში მასალების შერჩევაში, მოძიებასა და შეფასებაში; კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და შესრულებაში; ასევე, კომპიუტერის და სხვა ტექნიკის გამოყენებაში.

სამუშაო საათები: ორშაბათიდან ხუთშაბათამდე - 8:30 – 16:45; პარასკევს - 8:30 - 16:00.

ბიბლიოთეკის წევრობისა და რესურსებით სარგებლობის პრივილეგია ენიჭება სკოლის ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს, თუკი ისინი დაიცავენ ბიბლიოთეკისა და სახელმძღვანელოებით სარგებლობის წესებს.

სახელმძღვანელოები:

სახელმძღვანელოების ცირკულაციის წესები და პირობები დეტალურადაა აღწერილი **სახელმძღვანელოების წესებში**, რომელიც გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია ბიბლიოთეკის კარზე და ასევე ელექტრონული ფოსტით ეგზავნება თითოეულ მოსწავლეს.

რესურსებით სარგებლობის წესები:

- თუ სასურველ წიგნებზე არ არის კონკურენტული მოთხოვნა, მათი გატანის რაოდენობა და ვადა მხოლოდ გონივრული ლიმიტის ფარგლებით ისაზღვრება. კონკურენტული მოთხოვნის შემთხვევებს დაარეგულირებენ ბიბლიოთეკარები;
- ელექტრონული წიგნების რიდერების (მაგ., Kindle ან Nook) გატანა რეგულირდება იგივე პრინციპით;
- სამაგიდო თამაშების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე;
- თუ სასურველი რესურსი გატანილია ბიბლიოთეკიდან, შესაძლებელია მისი დაჯავშნა;
- მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ბიბლიოთეკის ზოგიერთი რესურსის გატანის შეზღუდვა გარკვეული პერიოდით;
- წიგნების დაბრუნება შეიძლება ბიბლიოთეკართან ან განსაზღვრულ ადგილას ბიბლიოთეკაში (BOOK DROP);
- თუ მოსწავლე დროულად ვერ აბრუნებს წიგნს, მან უნდა გააფრთხილოს ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკა მიესალმება და უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეების და თანამშრომლების

მიერ შერჩეული რესურსების შექმნას. მოგვწერეთ მისამართზე thomaslibrary@aat.ge.

ბეჭდვა, კოპირება, სკანირება:

- ბეჭდვა და კოპირება შესაძლებელია ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარების დახმარებით;
- სკანირებისთვის მოსწავლეებმა უნდა მიმართონ მასწავლებელს კომპიუტერების ოთახში, რომელიც საჭიროებისამებრ გაუწევს მათ ტექნიკურ დახმარებას;
- მოსწავლეები არ უნდა შევიდნენ მასწავლებლების ქსეროქსის ოთახში.

მუშაობა და დასვენება:

დონალდ თომასის ბიბლიოთეკის წევრებისგან ველით, რომ ისინი:

- ყოველთვის დაიცავენ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ნორმებს და გამოიყენებენ ბიბლიოთეკას კითხვის, კვლევის, ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის, დასვენების და თამაშისთვის ისე, რომ სხვა წევრებს ხელი არ შეეშალოს;
- არ შემოიტანენ ბიბლიოთეკის სივრცეში საჭმელს/სასმელს;
- მოუფრთხილდებიან ბიბლიოთეკის რესურსებს, ავეჯს და ტექნიკას;
- რეგულარულად გაეცნობიან ბიბლიოთეკის მეილებს; (thomaslibrary@aat.ge)

წესების დარღვევის შემთხვევაში:

- ქცევის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს მოეთხოვება დატოვოს ბიბლიოთეკა კამათის გარეშე, რათა სისტემაში არ დაფიქსირდეს დისციპლინური შენიშვნა. მას შეუძლია უკან დაბრუნება, როდესაც იგრძნობს, რომ აღიდგინა თვითკონტროლი;
- განმეორებითი შენიშვნა ბიბლიოთეკის სისტემაში დაფიქსირდება დისციპლინური შენიშვნის სახით;
- მრავალჯერადი შენიშვნების შემთხვევაში მოსწავლეები შეიძლება დაჯარიმდნენ ან ჩამოერთვათ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ბიბლიოთეკარების მიერ დადგენილი ვადით. ბიბლიოთეკიდან დროებითი დათხოვნის ფაქტებიც დაფიქსირდება ბიბლიოთეკის სისტემაში. სამ ასეთ დათხოვნას შეიძლება მოჰყვეს მოსწავლის ქცევის დისციპლინურ კომიტეტზე განხილვა.

მოსწავლეთა ჰოლები

მოსწავლეებს მოეთხოვებათ სპეციალურ კონტეინერებში ჩაყარონ ნაგავი და დაიცვან სისუფთავე ჰოლებში. მოსწავლეებმა კუთვნილი ნივთები თან უნდა ატარონ ან ლოკერებში შეინახონ; ჰოლებში მათი დატოვება დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია ჰოლებში საჭმლის მოტანა.

კაფეტერია

კაფეტერია იმუშავებს 8:30-იდან 16:45-მდე. მოსწავლეებს შესთავაზებენ ცხელ ლანჩს, რომლის მენიუ ყოველდღიურად და ყოველკვირულად შეიცვლება. მოსწავლეებს შეეძლება სრული ლანჩის ან ცალკეული კერძების შეძენა. მოსწავლეებს ეკრძალებათ საკვების გატანა ჰოლებში ან საკლასო ოთახებში. მათ საკვები ან კაფეტერიაში ან სკოლის შენობის გარეთ უნდა მიირთვან.

ჩაცმულობის წესი

სკოლაში მოსწავლის ტანისამოსი ნებისმიერ დროს სუფთა და მოწესრიგებული უნდა იყოს. დაუშვებელია დახეული, შეუფერებელი, გამომწვევი ტანისამოსის ან სამუშაო კომბინიზონების ტარება. უნიფორმის ჩაცმა მოითხოვება სასწავლო წლის პირველ და ბოლო დღეებში, გამოცდებზე და სხვა სახის საგანგებო შემთხვევებში, რის შესახებაც მოსწავლეებს სკოლის ადმინისტრაცია აცნობებს.

ელექტრონული აპარატურა

მობილური ტელეფონების საკითხი მესამე კატეგორიის წესებში განიხილება. გაკვეთილზე გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებს გარკვეული ვადით ჩამოერთმევათ როგორც მობილური ტელეფონი, ისე პერსონალური მუსიკალური ელექტრონული და ნებისმიერი სხვა სახის მოწყობილობა, რომელიც ტელეფონად გამოიყენება. ჩამწერი ან ფოტო/ვიდეო აპარატურა მხოლოდ იმ პიროვნების ნებართვით შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვისი ჩაწერაც ან გადაღებაც სურს აპარატურის მფლობელს.

ლოკერები

თითოეულ მოსწავლეს ექნება საკუთარი ლოკერი საკეტიტო. მოსწავლეებს არ აქვთ უფლება ისარგებლონ საკუთარი საკეტებით; მათ მხოლოდ სკოლის მიერ გაცემული საკეტები უნდა გამოიყენონ. ლოკერები ყოველთვის დაკეტილი უნდა იყოს. ლოკერების საკეტებს დამრიგებლები გაანაწილებენ და შეაგროვებენ.

კომპიუტერები

მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ კომპიუტერებით კომპიუტერულ ოთახში, ბიბლიოთეკასა და ჰოლებში. ვინაიდან მთელს სკოლაში უმავთულო კომპიუტერული კავშირი იქნება უზრუნველყოფილი, მოსწავლეებს შეეძლება ისარგებლონ საკუთარი ლეპტოპებითა და ტაბლეტებით, თუმცა, სკოლა ვერ აიღებს პასუხისმგებლობას მოსწავლეთა პირად ნივთებსა და ელექტრონულ აპარატურაზე. ბიბლიოთეკის კომპიუტერები არ უნდა გამოიყენებოდეს კომპიუტერული თამაშებისთვის და პირადი წერილების გასაგზავნად. საკლასო ოთახებისა და

ოფისის კომპიუტერების გამოყენება მხოლოდ სკოლის თანამშრომლების ნებართვით არის შესაძლებელი.

ტრანსპორტირება

მოსწავლეებს შეეძლებათ დამოუკიდებლად მოვიდნენ სკოლაში ან ისარგებლონ სკოლის ტრანსპორტით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას საბურთალოდან (რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან) და ვაკიდან (თურქეთის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიიდან). თუ მოსწავლეები ავტობუსზე დაიგვიანებენ ან დადგენილი გრაფიკისგან განსხვავებულ დროს მოისურვებენ სკოლიდან წასვლას, მათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით მოუხდებათ სარგებლობა. ავტობუსის გაჩერება სკოლასთან გამავალ ძირითად გზაზე მდებარეობს.

სახელმძღვანელოები

აკადემია ყველა მოსწავლეს უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს. თუ მოსწავლე დაკარგავს ან იმდენად დააზიანებს სახელმძღვანელოს, რომ ბიბლიოთეკარი შეუძლებლად ჩათვლის მის შემდგომ გამოყენებას, მოსწავლეს მოეთხოვება ზარალის ანაზღაურება.

საგარანტიო დეპოზიტი

საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს მოსწავლის მიერ საგარანტიო დეპოზიტის შექმნას. დეპოზიტის თანხა მოხმარდება სასკოლო ქონებისადმი მიყენებული შესაძლო ზიანის ანაზღაურებას. თუ ანაზღაურების საფასური გადააჭარბებს დეპოზიტის ოდენობას, მშობლებს წარედგინებათ ანგარიში და მოეთხოვებათ შესაბამისი თანხის გადახდა. თუ ზიანის ანაზღაურება დროულად არ მოხდა, სკოლა უარს იტყვის ნიშნების ფურცლების ან სხვა სახის სასკოლო დოკუმენტაციის გაცემაზე. განსაკუთრებით სერიოზული ზიანის შემთხვევაში მოსწავლეს ზიანის ანაზღაურებამდე აკრძალება გაკვეთილებზე დასწრება. თუ მოსწავლის მხრიდან სკოლის ქონებას არანაირი ზიანი არ მიაღწია, აკადემიაში სწავლის დასრულების შემდეგ - საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად - მას სრულად დაუბრუნდება საგარანტიო დეპოზიტი.

სტუმრები

ადმინისტრაციის და/ან მასწავლებლის ნებართვით სკოლის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცემათ, დაათვალიერონ სკოლა და დაესწრონ გაკვეთილებს. ნებისმიერი ფოტო/ვიდეო გადაღება ან ინტერვიუ წინასწარ უნდა შეთანხმდეს ადმინისტრაციასთან.

ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა

აკადემია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების“ მხარეს (მხარეებს). თუ აკადემიის განმეორებითი მცდელობების მიუხედავად, ფინანსური ვალდებულებები შეუსრულებელი დარჩა, აკადემია იმოქმედებს „ზოგადი განთლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-2 მუხლისა და „საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის შესაბამისად.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა ხორციელდება "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის (GDPR) შესაბამისად და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შესაბამისი დოკუმენტი - "პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა" - საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე www.gzaat.org.

საჩუქრები

მასწავლებლებს არა აქვთ უფლება, მიიღონ საჩუქრები მოსწავლეებისგან ან მათი მშობლებისა და ნათესავებისგან.